საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ვიცეპრეზიდენტი
ბათუ ქუთელია

ბათუ ქუთელია არის საქართველოს ატლანტიკური საბჭოს ვიცეპრეზიდენტი და მაკკეინის საერთაშორისო ლიდერობის ინსტიტუტის თანამშრომელი. 2011 წლიდან 2013 წლის ნოემბრამდე იკავებდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის პოსტს. 2008-დან 2011 წლამდე კი გახლდათ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში.
2007-2008 წლებში ბათუ ქუთელია იყო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, 2006-2007 წლებში კი საქართველოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილე გახლდათ, 2004 წელს კი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.
2005-2006 წლებში ქუთელია ხელმძღვანელობდა საქართველოს დაზვერვის სამსახურს, ხოლო მანამდე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგარეო დაზვერვის დეპარტამენტს.
დიპლომატიური და პოლიტიკური კარიერის დაწყებამდე ბათუ ქუთელია შეისწავლიდა ფიზიკას. არის ფიზიკის დოქტორი, ამასთან, საჯარო საქმეთა ადმინისტრირების მაგისტრია.
ბათუ ქუთელია საუბრობს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე.

ანა კვანჭილაშვილი
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი
577 42 20 09
ana.kvanchilashvili@iliauni.edu.ge